წელიწადი მეორე. № 28. 20 ივლისი 1878 წ.

ხელის-მოწერა:

ტფილისს, «ივერიის» რედაქციაში მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ, სახლი № 5.

ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

განცხადება მიიღება ქართულს და რუსულ ენებზედ.

«ივერიის» ფასი

ერთის წლისა, გაგზავნით დ გაუგზავნ. 7 მ. —
ნახევარის წლისა . . . . 3მ. 50კ.
თითო ნომერი . . . . « 15კ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.

ივერია

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

მსურველთ შეუძლიანთ გამოიწერონ «ივერია» პირველს მკათათვიდამ ვიდრე მომავალ პირველს იანვრამდე. ფასი ნახევარის წლისა სამი მან. და ათი შაური. ტფილისში მცხოვრებთათვის ხელის-მოწერა მიიღება უფ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, ქაშვეთის ქვემოთ დუქნებში, № 2. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი შემდეგია: **Въ Тифлисъ, въ редакцію газеты «Иверія»**.

პირად მოსალაპარაკებლად რედაქცია მიიღებს ოთხშაბათობით დილის ათი საათიდამ ვიდრე შუადღის ორ საათამდე.

საძიებელი: I. საქართველოს მატიანე. „ივერიის“ კორრესპონდენციები) ქუთაისიდამ, სიღნაღიდამ, გუმიდამ (სოფლელის ნაამბობი).—II. ყოუმანი თავის ბუჩობისა, (ლექსი).—III. საქართველო ანდრია მოციქულის დროს.—IV. ურწმუნო დიეგო (შემდეგი).

საქართველოს მატიანე

ქუთაისი, („ივერიის“ კორრესპ.). დღეს საკათედრო ხობორთსთან მომიხდა გავლა და შევნიშნე უჩვეულებრივო კრება სოფლის კაცებისა, რომელნიც რაღაცაზე ეგრე გულმხურვალეთ სჯიდნენ, რომ, ეტყობოდათ, ეს „რაღაცა“ მათ უაღრეს საქმეთ მიაჩნდათ..... ხალისის დასაკმაყოფილებლად შიგ შუა კრებაში შევერიე და ერთს დავუწყე გამოკითხვა ყრილობის მიზეზისა. ამ დროს მთელმა საზოგადოებამ შესწყვიტა სჯა და ჩვენ ორს საუბარს დაუწყო ყურის-გდება. დროითი დრომდე ზოგიერთი ჩვენ სიტყვა-პასუხში ჩამოერევოდა ხოლმე.

განუმარტებლად, ერთის სიტყვის შეუცვლელადაც გწერთ, რაც მითხრეს. აი მათი ნათქვამი:

„ჩვენ ვართ ქუთაისის მაზრის მანდიკოს საზოგადოების მცხოვრებნი.... ამ მესამე გამოწვევით ჩვენს საზოგადოებას უნდა გამოეყვა 15 კაცი (5%) ჯარშა სამსახურისათვის, და კიდევაც გამოვიყვანეთ. ამ გამოყვანილთ რიცხვში ურევია ერთი ~~ანდრიაძე~~, რომელსაც ჯარში გამოყვანა ვერაფრად ეჭაშნიკა .... და ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ ამ უსიამოვნობიდგან თავი დაიხსნას. მას ამოუჩნდა ერთი მწე-პატრონი აზნაური, რომელსაც მაზრის უფროსი შვილს უნათლავს. ეს აზნაურიშვილი შეეხვეწა თავის ნათლიას, რომ მის მაღალ-კეთილშობილებას განთავისუფლებია ~~ანდრიაძე~~ ჯარში სამსახურიდგან. მაზრის უფროსმა ნათლი-მამას ხათრი არ გაუტეხა და საზოგადოებას უკან დაგვიბრუნა ~~ანდრიაძე~~, აქაო და ეს კაცი უკანონოდ არის გამოყვანილიო, სხვა ვინმე ამოარჩიეთო კანონიერად და წარმოადგინეთო....

„შეიყარა საზოგადოება და გამოჭკვითხა ნაფიცებს (რომელთ მითითებითაც გამოგვყვანდა კაცები) ანდრიაძის ვითარება, მაგრამ, რაც უკვე ნამდვილად ვიცოდით, იმის მეტი რა უნდა გაგვეგო! ე. ი., ის რომ ანდრიაძეს მამის გარდა სამი ძმა კიდევ ჰყავს, თვით სრული წლოვანია, თვალს არ აკლია და ფეხს, ერთის სიტყვით, მის ამორჩევაში უკანონო არა ყოფილა რა.... ეხლა მოდით და გვითხარით, მის მაგიერ ვინმე დედის ერთა რად უნდა გამოგვეყვანა, ან და როგორ გამოვიყვანოთ?!... ყველაფერი ეს მოვახსენეთ მაზრის უფროსს. მაგრამ ეს ჩვენი მოხსენება არ შეიწყნარა და მეორე ჯერ გამოგვიგზავნა მოწერილობა „ანდრიაძის

მაგიერი ამოარჩიეთო“..... მეორეჯერაც იმგვარადვე გუბასუხეთ..... მესამეჯერ კიდევ მოგვიგიდა მოწერილობა „ანდრიაძის სამაგიერო ამოარჩიეთო“. მესამეჯერაც იმ რიგი პასუხი მივეცით. მეოთხეჯერაც გამოგვიგზავნა მოწერილობა და თან ნაფიცები დაიბარა ქუთაისში. ამ ნაფიცებს საზოგადოების ერთი ნაწილიც გამოეყვითო, და აწ როგორ წავალ საქმე არ ვიცით კი, მხოლოდ ანდრიაძის გამოცვლაზე არასოდეს არ დავთანხმდებით.“

ესლა მოგბეზრდით და უმეცარ მიმასხლისებს გაუმტეუნეთ ნათესაობის გულისთვის უსამართლობის ჩადენა!....

ჭოი დროებანო, ჭოა ზნეობანო!!!

12 იულისი 1878 წ. ი—ა ი—ძე.

ᲮᲘᲓᲘᲡᲗᲐᲕᲘ, («იგუარის» კორრეს.) ვაი ჩემს დროს და გარემოებას, მგითხველო, თორემ აქამდისინაც დრო იყო, რომ მეცოდინებინა თქვენთვის ეს ჩვენი სიბრალოდ სოფელი. რა სანადირო მინდორი გვაქვს, რომ იცოდე, ქუთაისელო მონადირე? ნეტავი როდისმე გამოისეირნებდე ჩვენკენ სანადიროთ, რომ დარწმუნდე, თუ რამდენი ნაირი მტაცებელი, მცხიერი, ავ-ზნიანი მხეცები ბუდობენ აქ. უკვირავთ, რომ ავცილდი საუბრის საგანსა და დაგიწყე იგავით ლაპარაკი; მომიტევე, ესე მაქვს მე ჩვეულებათ და მიყვარს, როგორც აღმოსავლეთის მცხოვრებს.

ეველა ქართველი დაგიმტკიცებთ, რომ ქართლში ორი სოფელი არ იპოვება ხიდისთავისთანა შემკობილი: ტყით, წყლებით, მინდვრებით და უფრო ვენახებით. აქაური ღვინო კი კახურს არ დაუკარდება არც გემოთი და არც ფერით. ამისთანა ადგილ-მამულის და მოსავლის პატრონი, კარგი შემძლებელი სალხი უნდა იყვეს, იტყვი შკითხველო. დიახ, უნდა იყვეს. მაგრამ აბა კარგა გამოიკვლიეთ ხიდისთაველების ცხოვრება, რას ნახავთ. მაშინ ნათლად დაინახავთ ხიდისთაველების სიღარიბეს; ესენი ყველამდინ არიან მოურიდხი გორელის სომხების ვალითა და ნისიებშითა. ხიდისთაველების მშვენიერი შეკმაზული ვენახები და სახნავი მიწები სულ იმათ და ორიოდე ჩვენებურ ბობოლების ხელშია. ისინი პატრონობენ ამათ მიწა-წყალს და ფარფარობენ ამათ გამშვენიერებულ ვენახებში. თუ რა პოლიტიკით ექცევიან ეს უსინიდისოები ჩვენ დიჩაგრულს გლეხებს, როგორ წურბელასავით ეკიდებიან და, მანამ არ დასტლიან სისხლით, თავს არ ანებებენ, ეს ყველამ კარგათ ვიცით, რადგანაც ესენი ყველა საქართველოს სოფლების მოუშორებელნი სტუმრები არიან. საკვირველია, იტყვით, თუ ასე უსინიდისოთ ექცეოდნენ, რალას მიიზიდებიან იმითვენაო? მაშ რა ეგნა ბედ-ჩაგრულა გლეხს?!—ამათ არ ჭირდათ საზოგადო ბანკი, რომ გაჭირების დროს ესარგებლათ; ამათ არ ჭირდათ საამქარნაგო დეპო, რომ შირნათლად ეკეკრათ და თავიანთ ნაწარმოებით თვითონვე გაეხარათ. მოადგებოდა რა კარს ბედი, თუ უბედობა, იასულიან ამ გვარი ვინმე სხვა, დასჭირდებოდა რამე ტანზე მისაკრობათ, გარბოდა გორში სომხებთან და მათგან იმართებოდა გორში სომხებთან და მათგან იმართებდა ხოლმე ხელს. რამდენი ას, ორას თუმნიანი ვენახები დარჩომიათ ღიბიან სომხებს და მაწანწალა ოლეკოებს წვრილ-წვრილ ნისიებში. ესლაც ერთს ამათგან გასვეწინდ კაცს ჩვენებურმა ბობოლამ აწერინა ბრისტავს სახლი წვრილ-წვრილ ნისიებში. რალა ბევრი გავაგრძელო, მკითხველო, სულ ამისთანა ღვარძლით არის დათესილი ხიდისთავი. რას აკეთებდნენ ის ახალ-გაზდები, რომლებიც აქ სუფევენ? დავიჯერო, მათ არ შეეძლოთ რაიმე კეთილი საქმის დაფუძნება—შეკოლისა, ბანკისა, ან საამქარნაგო დეპოსი, რომ გამოესწორათ თავიანთი მომძმენი ამ სხვა და სხვა გვარ უბედურობისაგან? რა უნდა გაეწოთ ჩვენს ახალ-გაზდებს თავიანთ სუსტის ისრებით ამდენ ავ-ზნიან მხეცებში. ზოგნი ჯერ არ გამხდარან ამ ცხოვრებაში და ვინ იცის, აღელვებულმა ტალღამ ესენი რომელ ნაპირს მიაგდოს!.... ზოგნი ბედიდგან დაგდებულნი, ამ ყამად აქ მცხოვრებელნი, ტუვილად არ ატარებდნენ დროს; ბევრს კეთილ-საქმეს აღმოუჩენდნენ ხოლმე სოფელს, მაგრამ მათი ჭაზრები აღსრულებაში ვერ მოდიოდნენ, რადგანაც მთელი სოფელი მოხელეებით ეურმაჭრილ უმეთა ჭეკვდა ერთ ბაჯაჯღანა მწერალს და როგორც უნდოდა ისე ათამაშებდა. ამის მოწყალებით ბევრი ღვარძლი დაითესა ამ სოფელში. განსვენებულმა ღენ. ი. მამაცოვმა ბევრი შრომა გასწია ამ სოფელში—ამის შემწეობით პირველად ხიდისთავში დაარსდა შკოლა და ბანკი; პირველად ამ სოფელმა უჩვენა მაგალითი მთელ ქართველს, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ ერთი მხნე-კეთილ-სინიდისიანი წინამძღოლი პირი არ აღმოჩნდა შემდეგში,

რომ საქმე კეთილად ეწარმოებინა და ხალხისთვის დაენახვებინა, რომ ამისთანა გაწეობილებას ბევრი სარგებლობა მოაქვს. ათის წლის ნაუდი შეოლა, რომელშიაც არის მიცემული ოთხმოცი თუმნისადინ, უქმათ დარჩენილა აქნობამდე. რისთვის?..... ეჰ, ბანკისთვის შეგროვილი სამოცი თუმნისადინ ვინ ჩა-ყლა-პა?..... მაშინდელი დაშინებული ხალხი ველარ ბედავს, რაიმე კეთილ-საქმის დწუებას. ისინი ამბობენ: „რაც სარგებლობაც ბანკიდგან დაგვანახვეთ, იმას ესლა დავინახავთ.“ ეგ კარგია თქვენის მხრით, თუ ბრძათ არავის დაემორჩილებით, აშკარათ და ჩუმათ არავის შეეწევინებით, გაფრიხილებული იქნებით ეგეოლა საქმეზედ. ვგონებ, არც ეს იქნება ურიგო, რომ კაცს იცნობდეთ, ე. ი. ვინ არიან თქვენი ერთ-გულნი და ორ-გულნი; კეთილის-მომდომნი ან ბოროტისა. მკითხველო! ეს დაპარაგი აი რაზედ ჩამოვაგდე, ეგელამ კარგათ ვიცით, თუ რა სარგებლობას მოუტანს სოფელს საამხანაგო დეპოს გაღება. ეს ჭაზრი ჩვენ სოფელში გავრცელდა და ბევრიც მოწადინებულიც არის ამ კეთილ საქმეზედ. ოც-და-ცხრა თიბათვისას ჩვენმა ახალმა მამასახლისმა, რომელიც ძალიან მოწადინებული არის, შეკრიბა ბლომათ ხალხი. აქ ლვაელმა შეო ბარნაბოვამ და ზოგმა ახალ-გაზდამ კარგი მეღვინეთ-ხუცესოვმა და მიხეილ ჭეჭელოვმა წარმოსთქვეს ორიოდე სიტყვა ხალხში ამ საამხანაგო დეპოს დანიშნულებაზედ, თუ რა სარგებლობას მოუტანს ის ხალხს. ამ-თმა სიტყვებმა აგრძნობინეს მსმენელებს სომხების და ურიების გესლიანი ნესტრები, ბევრისგან ისმოდა ხმაწუსარო და დაჩაგრული სიტყვები გულსაკლავი კიდოვნებით: ოჰ, ღმერთო! თუ კი ამისთანა საქმე გვეღირსება! თუ ესე მოხერხდა, შენმა მზემ, რომ ადარც სომხების მიკვდებით კარს და ჩვენ წელ-წადებულს ოჯახსაც ელირსება რამე.....» სხვათა შორის, მკითხველო, ერია იმისთანა დათვები, (აშკარაა სომხების მომხრენი) რომლებიც ხედავდნენ, ფრთები მოგვეკვეცებინა, თუ ეს საქმე ასრულესო და ამის გამო დადოდნენ და ბუტბუშტობდნენ: «მაგათ თქვენი დატუვება უნდათ,» «არამცა და არამც არ ენდოთ, თორემ ფულიც დაგეკარგებათ და ბევრსაც ინანებთ.»

ამათ სიტყვებს თითქმის ყური არავინ უგდო და დაიწყეს სიაზედ ხელის მოწერა, რადგანაც ისინი მიენდნენ თავიანთ მოძმეებს და ნათლად მოელოდნენ ამათგან სანიდისიანთ საქმის წაყვანას. არ დაიჯერებთ, ჩვენებურმა ქვრივებმაც კი მიიღეს მონაწილეობა ამ საქმეში და დაიწყეს სიაზედ ხელის მოწერა.

შემდეგში გაცნობებთ კიდეგ, თუ ხარისხიულად როგორ გასწყვეს ჩვენი საქმე. იმედი გვაქვს, რომ საქმე კარგად წავა, რადგანაც ურევია იმისთანა პირნი, რომლებსაც სწამთ ეს სიტყვები:

„მე ქართველი ვარ! მრწამს, რომ როდისმე წავა, გაიგლის ეს დრო ძალისა
და დღესა თუ ხვალ, უეჭველთა
ამოგვავ მზეგანათლებისა.....“

ი. ბ.

7 მკოთოგეს 1878 წ.
ს. ხიდისთავი.

სოფლელის ნაამბობი.

ს. ბუბი. («ივერიის» კორრესპ.). ძლიერ არ მაკვირვებს, ბატონო, ეს ჩვენი სოფლელების ბედ-იდბალი?! ბევრად თუ არა რამოდენიმე ნაწილად მაინც ჩვენი თავი ჩვენს ხელშია. ხელმწიფე იმპერატორმა მოგვანიჭა ის უფლება, რომ ჩვენ შეგვიძლია ჩვენი საკუთარი პოლიცია გავაკანდეს, ჩვენი მსაჯულები და სხვა ამ გვარი! მაგრამ, დახედეთ, ჩვენს უიღბლობას: საქმე ისრე მიდის, რომ ლამის ამ უფლებით ჩვენ ბევრიც მოგვაკლდეს, მინამ ხეირიანათ მოვეწყობოდეთ. დამიჯერეთ, რომ ეს ასეა. თუ არ გჯერათ, მომითმინეთ და ქვეგით მაგალითსაც მოგიყვანთ. ესლა კი ერთს გკითხავთ,—რადგან მე სოფლელს ამოდენი არ გამეგება, რომ ეგეც ვიცოდე: აგრე უბედ-იღბლანი რისთვის შეგიქმნიათ ჩვენ—სოფლელები? კაცო, ჩემი ძმანი მოსამართლეთ ამირჩევია და ის რომ არ მიჯრის ხეირიანად სამართალს, მაშინ როდესაც მან ჩემი საქმის თავი და ბოლო იცის, ის რომ არ მასამართლებს და ორმოც აშელაციას და ბაშელაციას ჩამადენინებს, სინამ ისევ ბოლოს მასვე მოუვიდოდეს ჩემი საქმე,—მე რა იმედი უნდა მქონდეს ვიღაც გარდამთეულის თათრისა ან ინგლისისა! ბაშიბუზუკები გაგვასამართლებენ თუ? აი ისემ აუშენდათ ოჯახი, მათ ჩვენზე კეთილათ იზრუნვონ, თუ გაუწყრათ მათი ალლაჰი და ჩვენს ცხენის-წყალს გამოჭსცილდნენ!... ჩვენ ხომ ჩვენი დაგვემართება, მაგრამ არც ჩვენ გაუ-

მაქღარს მამასახლისს და ზოგიერთ სუდიას მოუათ კარგი, წინ რომ გვიგდებო, აბა მტერს დაუხვდიო. აბა იმათ მოჰკითხოვონ ქრთამი, ჩვენზე რომ აქვთ გამოჭყიმული თვალები....

მაინც ძლიერ გასაჭირი ყოფილა ომიანობის დროს! ტყვია წამლით მაშინ კვდება კაცი, ათას ნაირი ჭირი და საოფლე მაშინ ნავარდობს კაცზე, ოთხფეხ-შინაურ პირუტყვს მაშინ უჩნდება ჭირი, ძაღლები მაშინ ცოფდებიან და რაც ტყეში მგლები მოიძებნებოდა—სულ გაცოფებულან!!...

არც ჩვენ დაგვყრია ხეირი ამ ომის დროს. გამოეცხადა თათრებს ომი თუ არა, ამოვირჩიეთ მამასახლისად ერთი კაცი.... ომმა ყველაფერი გააძვირა: ორ შაურიანი ქათამი ექვს აბაზათ გახდა, თივა ექვსი შაურიდგან ფუთი ორ მანეთამდის ავიდა, ხვადგის ხორცი ოყა (სამი გირვანქა) სამი შაურიდგან ათ შაურზე ავიდა და სხვა. როგორც ხედავთ ომმა ყველაფერი გააძვირა, მაგრამ კაცი კი ერთიც არ იყო მოკლული ბრძოლის ველზე, როცა ჩვენ ეს ახალი მამასახლისი ავირჩიეთ მამასახლისად. მაშ რამ გააძვირა ასე კაცი ჩვენში, რომ კაცის მაგიერ ეს გაყობატონი აგვირჩევია!! გუბელებმა ჭირიან ძროხა-ხარს ვერ გაგვართვით ტყავი, ჯან მრთელ კაცებს კი ტყავს გვაძრობენ. ვის ოთხი თუმანი გარდახდა, ვის ხუთი, ვის რვა, ვის თვრამეტი მანეთი და ზოგს ხუთმეტმანეთსაც დასჯერდნენ. როცა შარშან დრუჟინისათვის კაცებს აგროვებდნენ, სხვათა შორის ერთ ჩვენებურს გლეხს ხვდა წასვლა. ის ბადალს ეძებდა. ამბობენ ერთმა მოხელემ ვიღაცა თავისის ნებით გასრული კაცი ჩაწერა ამორჩეულების სიაში და ბადლის მძებნელს კი უთხრა: „აი შენი ბადალი ეს არის, არაფერს მისცემო?“ ამ გლეხმა სოფლის შეგროვებულის ფულის გარდა თავისი ფულიც, ცხენი და იარაღი მისცა, როგორც თავის საკუთარს ბადალს. ეს ყოველივე, რასაკვირველია, ჯეროვანს ჯიბეს ასცდა და უჯეროში ჩავიდა და ბადალი კი საბადლოთ კი არა, თავისი თავის მაგიერ გაისტუმრეს. წელს კიდევ შეხვდა ამ ჩემს მეზობელს მილიციონერობა. ყვირის: ბადალი მყავს გაგზავნილიო, მაგრამ ვინ დაუჯერებს. საქმეში არა ჰსჩანს რა.... ზოგიერთის მოხელის თვალებში და უფრო პირის სახეზედ ყოველისფერი ჰსჩანს, მაგრამ შემხედავი ვინ არის!! ვინ არის აქ დამნაშავე? ხომ ისევ ჩვენ? კაცო, ბაშიბუზუკები ხომ არ გაგვასამართლებენ, რომ ეგრე დაგვიღია პირები!.... აბა ჩვენ ამოგვირჩევია, არ გვასიამოვნა, ჩვენვე გამოვცვალოთ!....

კი ბატონო! სულ ჩვენ ვარ ჩვენი თავისვე დამღუპველები:—მე შენი მეზობელი ვიფიცებ, რომ ეს შენი ადგილები შენ ჩემს მეზობელს არ გეკუთვნის, არა! ის ვიღაც თავადს ეკუთვნის! ამას იმისთვის ჩავდივარ, რომ ერთი ორი თუმანი მომცეს ქრთამად... მე ამ ფულებს შევჭამ, შენ ადგილებს გართმევენ ჩემი სიტყვით და ორნივე მეც და შენც უმიწა-წყლო ვრჩებით!! ამისათვის არის, რომ მდ. გუბის წყალი სოფ. გუბის აღარაა. ამ მდ. ჩვენი სოფლის სახელი ტყუილა შერჩენია, ჩვენი პირუტყვები კი წყურვილით იხოცებიან.... ვსთქვათ იმუშავა ბედმა,—რომელიც ათასში ერთხელ უბედურსაც გაუღიმებს ხოლმე, როგორც გუბელებზე მოხდა ახლა,—და შენს ადგილებს სამართლით შენვე გიბრუნებენ, მაშინ მე შენ, ჩემო მეზობელო, მოჩივრად გიხდები, როგორც გუბშივე მოხდა, და შენს საქმეს გახდენ.... მერმე გამოდის, რომ ჩემი თავიც შენთანვე დამიღუპავს—ამის მაგალითიც გუბშივეა. ახლა ვიკითხავ: რისგან არის ეს? ვინ გვატანს მე ან შენ ძალას, რომ ორის გროშისთვის თავი დავიღუპოთ საამქვეყნიოთ ჩვენი შვილების და მათი შვილების საწყევრათ და საიმქვეყნოთ ღვთის წინაშე ტყუილის ფიცისათვის. აბა დალოცვილ ღმერთს ხეზე ხომ არ გაუჩენივართ ჩვენ გუბელები, რომ არც მიწა მოეცა და არც წყალი? გუბის სახელი რათ ქვია გუბის წყალს, თუ ჩვენში არ გამომდინარეობდა და ჩვენი არ იყო?

წელს შეგროვდა ჩვენში მილიციისათვის ოც-დაერთ კაცამდის, მაგრამ ისე არა როგორც შარშან. მამასახლისის ოინებს ბოლო მოუღო წელს მაზრის უფროსის მაგიერმა კაცმა ოჯახ აშენებულმა უფ. ალშიბაიამ. ყველაფერი კანონები ხელისგულზე დაგვიგორა, თუ ვის ერგება ამორჩევა და ვის არა; რისთვის გავყავართ და სხვ. და სხვ. ბოლოს მამასახლისზედაც, გვკითხა თუ ვინმემ ქრთამი მიეცითო და სხვა. მაგრამ რვა თუმნის ტყუილად მიმცემმა რომ ვერ ამოიღეს ხმა, ხუთმეტი მანეთიანები რას იტყო-

დნენ? ახლა მაინც ცხადია, რომ ჩვენ სოფლელები თვითონვე ვიღუპავთ თავს. შარშან ამ დროს ამავე მამასახლისზე რამდენს რას ვუვიროდით, სინამ გამოამშიებელი მობძანდებოდა, მაგრამ მერმე კი გავჩუმდით. ვისი ბრალი იქმნებოდა, თუ არა ჩვენი? ადარა გვაქვს, ბატონო, ერთობა წაგვირთმევია ურთიერთთან კავშირი, ადარც ურთიერთისათვის გულის-შემატკივრობაა ჩვენში და არც ურთიერთის გამოსარჩლება. თან და თან ვიგებთ, რომ ეს უმვირფასესი თვისებები ჩვენ გვაკლია, მაგრამ მათი შეძენისათვის ჯერ ფეხიც არ დაგვიძრავს.

ბატონო, მეგაზეთეგ, გთხოვთ, ეს ჩემი ნათქვამი თქვენს გაზეთში ჩაბეჭდოთ. ბრძენს უთქვამს: „დიდი ლხინია ჭირთა თქმა, თუ კაცსა მოუხდებოდესო“.

1 ნოემბერი 1878 წ. სოფლელი.

ᲣᲙᲣᲛᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲠᲘᲡᲐ.

არ მინდა გავთბე იმით, რომე სხვებსა ჭსტიოდეს,
არ მინდა გავძღე იმით, რომე სხვებსა შიოდეს,
არ მინდა ჩაცმა, თუ მე მმოსავს სხვების შიშველობა,
არ მინდა ყოფნაც, თუ მით სხვისი ყოფნა იმსობა.
მინდა,—არც მინდა ადსარება სულის გამწმენდი,
მინდა,—არც მინდა სიტყვა—მადლი, საქმე წამწყმენდი;
მინდა, ვეგონო, რაც არა ვარ ერსა რეგვენსა,
ყველას ჭაზრში შორს ავსციოდე სმას შესარცხვენსა.
ხომ უნდა ვგრძნობდე, მისარიდეს ბევრი ქონება,
უნდა ვსტკებოდე, რომ გარშემო მომესმის ქება;
მაგრამ როცა მე დავუწუნებ რასმეს ჩემს თავსა,
მთელი ქვეყნის სმაც ველარ შესცვლის კარგად იმ ავსა.
უშეუობაა, უაზრობა ასე ცხოვრება,
რომ შენი ქცევა სალსში ცნობას არ ესწორება;
ისევ შენ გზხუტავს შენივ გორმი, შენი ეკალი,
შენვე იშსამი შენის გესლით—არ გაქვს წამალი.
შენი ამბავი შენ იცი, სხვებს ემალები,
შენის ცუდისთვის ხომ სწავლობ და თავს ემალები!
ორ-ბირი დანა ჩაჭყლაპე და მიწეივ იწრები,
და ამ ტანჯვაში ხან სხვის წინაც ოფლით იღვრები.
რომ სამართალი ცხოვრებისა იწყებს დუღილსა
და ღრმად გაგინძრევს შენს ბნელ სულში ორ-ბირ მასვილსა;
მაშინ გოდება შენ შიგნითვე მძვინვარედ კვდება,
და ჭირვეული ვერ იტყვი, რა ცეცხლი გედება.
სხვას უმალავ და თვით კი იწვი ამ ჯოჯოხეთში,
სხვის წინ მდიმარე კუბრს უმატებენ ამ შიგ მწვავ ბრძოლაში;
შიგნით უბედურს გარს გმოსია ბედნიერება,
უშვერს, უგეთურს გაფარია მშვენიერება!
წამოსხმული გაქვს მატყუარი რბილი ბოროტირი,
რომლის სარჩულად ეკალი გაქვს მცემ—შემაჭირი:
ზღარბსა გარეგ აქვს მოსაგერად თავის ეკალი,
და შენ-კაცს-შიგნით თვის საგმერად ცოდვის სამრჭვალი,
არა, არა ჭსჯობს ასე სულის დამუწუვება,
არა ჭსჯობს ასე ტალასში და ბიჩქში წუმბება.
მინდა—ვეოფამნებ, ვირეკვი და ვფრთხები ძაბუნი,
რომ თავს გაუტყდე, ვრქვა ქვეყანას, თუ რა მაქვს წუნი.
მინდა დაგუბულს ცოდვის ბალღამს გავუბო კარი,
სიავით მწიფეს, სულის მუწუს დავკარ შაშარი!
მეტკინოს, დამწვას, ოღონდ მოვრჩე ამ ბიწთა სვრასა,
შევრცხვე, გავწითლდე, ოღონდ მოვრჩე ამ უწუვეტ ზრვასა.
ის მირჩევნია, მოვკვდე ყველას დაწუნებული,
და არ მიმქონდეს შიგ ცრუ სული შეგინებული;
ის მირჩევნია, მე მიმდევდეს კიცხვა და რცხვენა:—
უმძიმესია შინ-მწუვრეულის ულბის მოთმენა!
უმძიმესია უნაწილო სულის წრტიალი,
უამსანაგო სატკივარი, უნდოდ ტრიალი,
გაუმხელელი სულის სუთვა, უბინო ჭირი,
მოუშეებელი, მოუწყენი, გამოუტირი!

არა, არ მინდა ცრუ ბატივი ასე ნაყიდი,
არ მინდა ენა, სასე, ქცევა მტრელი და ფლიდი;
არ მინდა თავი გადვიმტერო, გადვიგიდო,
და მითი ქვეყნის ცუდი ქება ჭირად ვიყიდო,
ეს უნამუსო, ეს უგონო, ბრიყვი ვაჭრობა,
ეს სიბოროტის საუნჯეში თავის ჩაქრობა,—
დამიწყევლია, შეჩვენებით ურ-მიყვა,—
გამიფენია, რაც სიავე გულში მიწყია!
მიტომ კი არ, რომ გულ-ხმეილი, ან დიდ სული ვიყო,
მიტომ კი არ, რომ სვინდისმა კარი გამიღო;
არა; მიტომ, რომ ტანჯვისაგან დავიხსნა თავი
და ვიყო შიგნით, როგორც გარეგ ვარ სანახავი,
არც ერთს ეკალსა ჩემს წყლულებში არ შევინახავ,
ყველას დავიძრობ, ყოველს ბრძოლაში ცალკე მოვნახავ,

ყველას ვაჩვენებ ჩემს წყლულებსა, ნაზეჟ—ნაგმერსა,
სულ აღვუარებ, რაც შევცოდე, ნაწამებს ერსა
ნუ მომიტევებს,—მე არ მინდა ისევ ქებები!
დამსაჯოს, მგვემოს, შემაჭირვოს, არ გავეცლები;
თავის განკითხვას დამავიწყებს რისხვა სხვებისა
და შიგნით წყლულებს დამიშუშებს ქენჯნა მმობისაგან.
გარს გამოზიდავს შინაგანსა მწვავ სატკივარსა,
და დაადუმებს სვინდისის ხმასა მყივარსა:
გარედ მაწუხონ, მარტო ჩემთვის ხომ მოვისვენებ
და წარსულ ნაქნარს სიავესა არ მოვიხსენებ!...
მაგრამ არ მინდა სხვისი ჭირით ვიშოვო ლხინი,
სხვისის ძიძაგით და მკლავითა მოვიგო ჩინი,
სხვისის დაღალვით, დაქანცვითა მე მოვისვენო
და სხვისი ზურგი ჩემ საფარად გამოვიყენო.
არ მინდა გავთბე იმით, რომე სხვებსა ჰციოდეს,
არ მინდა გავძღე იმით, რომე სხვებსა ჰშიოდეს,
არ მინდა ჩაცმა, თუ მე მმოსავს სხვების შიშვლობა.
არ მინდა ყოფნაც, თუ მით სხვისი ყოფნა იმხობა.

26 იანვარს 1878 წ. ნ. ლ.

საქართველო ანდრია მოციქულის დროს.

მართლა და ჩვენ დროს ხმელეთის პირზე იშვიათი საქმეა ადამიანის მსხვერპლად შეწირვა და კაცის-მჭამელობა. ამ ჩვეულობის მიმყოლნი ტომნი იპოებიან მხოლოდ ავსტრალიის კუნძულზე, ამერიკის და აფრიკის ველურ მცხოვრებში, თუმცა ზოგნი იმათგანნი არიან ადგილობრივ დამყარებულნი და ცხოვრობენ უხვად მინიჭებულ მხარეებში. ამ საზიზღარის ჩვეულების მიზეზი არის პირუტყვული ბუნება. ავსტრალო-ამერიკელნი ტომნი ისე დაბლა დგანან გონებით და ზნეობით, რომ იმათთვის კაცის კვლა, მტრის ყელის გამოჭრა ისეთი საქმეა, როგორც ნადირის დაკვლა. ისინი არც თავიანთ სიცოცხლეს სდებენ ფასს, არც სხვისას. ამ მდგომარეობაში იყვნენ ისტორიის წინა-დროებაში თვით აზიელნი და ევროპიელნი, რომელნიც ახლა გონებისა და ზნეობის წარმატებაში არიან შესულნი. იმათში მაშინ ისეთ სიმხეცეს ვხედავთ, როგორც ახლა ავსტრალო-ამერიკელებში. ასეც უნდა ყოფილიყო. ამას გვიმტკიცებენ საზოგადოდ ბუნების კანონი, ენები მიფოლოგ დაიური ისტორიული ცნობა. რომ ადამიანის მსხვერპლად შეწირვა და თვით კაცის მჭამლობა შესაძლებელი იყო სულ ძველად როგორც აზიაში, აგრეთვე ევროპაში, აი რამდენიმე ცნობა ამაზე. ჰეროდოტის თქმით, სკვითები მსხვერპლად სწირავდნენ ღმერთს მარსს იმ უცხო ტომს, რომელიც კი იმათ ხელში ჩაუვარდებოდათ [1], შუხო-ტომსკე უმსხვერპლავდნენ ღმერთას ქალწულს ტავრო-სკვითნი [2]. ეს ჩვეულება ჰქონდათ აგრეთვე უწინდელ ჩერქეზებს [3]. სტრაბონის სიტყვით, ალბანელნი იბერიის საზღვრად ადამიანს დაუკლავდნენ მთვარეს, იმის სადღესასწაულო დღეს [4]. ბერძენნი, თავიანთ ბარბაროსობის დროს, როგორც ტავრო-სკვითნი, უკლავდნენ დიანა ღმერთსა ჩჩვილს ყრმებს ორისავე სქესისას [5]. აღამემნონმა განიზრახა თავის ქალის იფიგენიის მსხვერპლად შეწირვა დიანაღმერთისათვის, აგები ამ ღმერთამ მოწყალე თვალით გადმოგვხედოსო და ქარი აღძრასო, რომ ჩვენი ფლოტი საბერძნეთიდამ დაიძრასო [6]. თუ მოვიგონებთ დაბადებაში მოხსენებულს შემთხვევას, როდესაც აბრაამმა ისურვა თავის შვილის შეწირვა [7], მაშინ რასაკვირველია დავრწმუნდებით, რომ იმის დროს ურიასტანის მოსაზღვრე ქვეყნებშიაც იყო ეს ჩვეულება.—თუმცა ეს ცნობები არ გვიჩვენებენ კაცის-მჭამლობას, მაგრამ როდესაც ადამიანი ისეთ მხეცურს მდგომარეობაშია, რომ მსხვერპლად შეწირვას თავის მოყვასისას არ იზიზღებს, მაშინ ის არც კაცის ხორცის ჭამას უარ ჰყოფს. ამ საგანს ზოგიერთნი მწერალნიც გვიმოწმებენ. ისინი ძველის მწერლების ჩვენებით კაცის-მჭამლობას მიაწერენ სკვითებს, ეფიოპელებს, აზიელებს და თვით ელინების წინა-პართ [8].

---

1 Herodote IV, 238. p. 10, 18.
2 Ibid., 252.
3 Dubois, Voyage, VI, 13—18
4 Strabon, XI, 410.
5 Dubois Voyage, VI, 11; Dictionn, des antiq. qrecques et rom., 28.
6 Dubois Voyage, VI, p. 16.
7 დაბ. XXII, 1—10.
8 Ethnegenie Caucasienne, p. 29, 36, ახლანდელ ველურ ტომთაგან ადამიანის ხორცის ჭამაზე იხილე Al. Maury, La terre et l, homme, Paris, 186, p. 488 და Nouveau Dist. de Géogr. univers., 32, 162, 314, 347, 370, 406, 435, 547.

მაშასადამე ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ქართველისტოვრების თემულება ქართველთაგან ადამიანის მსხვერპლზე და ამის მაერ ხორცის ჭამაზე არ ეწინააღმდეგებარც ბუნების კანონს, არც მსოფლიო ისტორიას, თუმცა დასაჯერებელი არ არის, რომ ჩვენნი წინა-პირნი ამ ჩვეულებაზე მდგარიუკნენ მე-II და მე-III საუკ. ქრისტეს წინად. ამ დროს იმათ ისე კარგად ჰქონდათ დამუარებული სამოქალაქო წესი, ისეთს სიბრძნეზე იდგნენ ისინი გონებითაც და ზნეობითაც, რომ ეოვლად შეუძლებელი საქმეა, როგორც ეს საფუძვლიანად შეუნიშნავს ბრიანსკეს, რომ ამ მსტეურს თვისებას მაშინ ადგილი ჰქონიეო. ჩვენ ზემოდ გუჩვენეთ რამდენიმე შემთხვევა, რომელიც ამტკიცებს, რომ მრავალი იმ ფაქტებთანი, რომელიც ჩვენ მატიანეს ისტორიულს დროებში შემოაქვს, უნდა მეთვისოს ისტორიის წინა-დროებას. კაცის მსხვერპლზე და მწამლობაზედაც ეს უნდა ითქვას.

საქართველოში კერპთ-მსახურების შემდეგ დამყარდა ქრისტეს სჯული. ქრისტიანობის გავრცელება ჩვენ ქვეყანაში ერთისა და ორის წლის საქმე არ არის. ეოველივე, რასაც მთელის საზოგადოების წესისა და ზნეობის ცვლილება მოაქვს, გრცელდება, ფუძნდება ნელ-ნელად, დროს განმავლობაში. ამ გვარადვე საქართველო მზადდებოდა ქრისტეს სასარების მისაღებად მრავალი ეამი. იმისი საფუძველი აქ დიდი მოციქულების დროდამ. თუ რომ შესაძლებელი საქმე იყო ასლის აღსარების მითვისება რომლისამე ტომისაგან პირველსავე საუკუნეში, იმ დროს ის, ჩვენის ფიქრით, უეჭველად უნდა შეჭხებიყო სომხეთსაც და ჩვენ მხარესაც, მთელს საქართველოს თუ არა, იმის საზღვრებს მაინც. ამ ქვეყნების ნაწილები მოციქულების დროს ეჭირათ რომაელებს. შავი-ზღვის ნაპირები მოფენილი იყო ბერძნების კოლონიებით. სომხეთში და საქართველოში მკვიდრობდნენ მრავალნი ურიანი; აქ დამ გაბნეულან ისინი სამხრეთ რუსეთში [1]; იმათ შეუწყვეტელი დამოკიდებულობა ჰქონიათ იერუსალიმთან. მაშასადამე რაც იერუსალიმში და ურიასტანში მოხდა, იმისი ხმა აქაც უნდა შემოსულიყო. უპირველესი ყურადღება მოციქულებისა და იმათის მოწაფეების მიქცეული იყო მცირე-აზიაზე. სომეხნი და ქართველნი ცხოვრობდნენ ან მცირე-აზიის საზღვრად, ან თვით მცირე-აზიაში. მცირე-აზიას პირველ საუკუნეში შეადგენდნენ, სხვათა შორის, დასავლეთად—ლიდია და იონია იმათის უმთავრესის ქალაქებით სმირნით და ეფესით; შუა-გულად—ფრიგია ქალაქებით კოლოსით და თ�იდონიის ანტიოქიით; გალატია და ბითინია ქალაქებით ნიკეით, ნიკომიდიით, სალკედონით, პონტის ჰერაკლეით; ჩრდილოეთად პონტი პოლემონიისა და იმისი ქალაქები კერასუნი, ტრაპიზონი, რაზა. ამ პონტის საზღვრებში მკვიდრობდნენ სხვათა შორის, ქართველნი ტომნი ტაბარენნი; აღმოსავლეთად—კაპადოკია ქალაქებით კესარიით, კომანით. კაპადოკიის საზღვრებში მდებარებდნენ მცირე-სომხეთი, კილიკია ქალაქებით სელევკით და ტარსით; სამხრეთად—პაფლაგონია, თეოზიდია [1]. აღმოსავლეთი ნაპირები შაკის-ზღვისა შეადგენდა აგრეთვე პონტს. აქ მდებარებდა კოლხიდა ციხაზეთით და იმისი ქალაქები ფაზი, ჰერაკლია, სებასტოპოლი დიდი ანუ დიოსკურია, ნიკოფსია და პითიუსი ანუ ბიჩვინტა. ის აღგილები, რომელნიც ჩვენ აქ აღვრიცხეთ, შეადგენდნენ მოციქულების და იმათს მოწაფეების პირველ ასპარეზს. ჩვენ ვიცით, რომ სულიწმინდის მოფენის დროს იერუსალიმში იმეოფებოდნენ, სხვათა შორის, კაპადოკიისა და პონტის მცხოვრებნი [2], რომ მოციქული პეტრე მიუწერს თავის ეპისტოლეს პონტში, გალატიაში, კაპადოკიაში, ბითინიაში განნეულთ უცხო-ტომთ, სულის-წმიდისაგან წინათ—განწესებულთ ქრისტეს იესოს სისხლის სასხურებლად [3]. ჩვენ ვიცით, რომ სასარება ჰქადაგებს პონტის სინოპში მოციქულებმა პეტრემ და პავლეა, რომელიც კილიკიის ქალაქში ტარსში იყო შობილი [4]. კოლხიდაში—მათემ [5]. მაგრამ წილას-ხდომით ჩვენი პონტი კრგო ანდრია მოციქულს. იმისი გზა იდო: ბითინიაზე, სალკედონზე, ჰერაკლიაზე, სინოპზე და ტრაპიზონზე. იმან დაჭსვა ეპისკოპოსად თავისი მოწაფე ფილოლოგი. ანდრიას ქადაგებას ჩვენს პონტის მხარეში სებასტოპოლში

[1] Journal Asiatique, 1868 juin, p. 529—537 joullet - aoit, p. 29.

[1] Asie Mineure, t. II, p. 431—433.

[2] საქ. მოციქ. II, 9.

[3] ნიკ. ეპისტ. პეტრესი, 1—2.

[4] Руковод. къ поз. Кавказа, I, 54, 58, 59.

[5] Архимандритъ Макарія. Исторія христіанства въ Россіи до равноапостольнаго кн. Владиміра. Спб. 1846. стр. 117—118. Пл. Іосселіани Исторія груз. церкви, 1843 г. Спб., 1—7.

ანუ დიოსკურიაში, სადაც მომდინარეობენ მდინარენი აფსარაფაზისი და სადაც ცხოვრობენ ეფიოპნი[1], მოიხსენიებენ მესამე საუკუნეში. ორიგენი, მეოთხის საუკ. დამდეგს იპპოლიტი და დოროთე ტირის ეპისკოპოსი; მეოთხის საუკ. გასულს სოფრონი კიპრის ეპისკოპოსი. იბერიას ანდრია შეეხო მხოლოდ დასავლეთის მხრივ: მე-IX საუკ. ნიკიტა პაფლაგონი ამ გვარ შესხმას უძღვნის ანდრიას: „შენ, ჩემის საქადულის ყოვლად ღირსო ანდრია, მიიდე რა შენ წილად ჩრდილოეთი, გულს-მოდგინედ მიმოვლე იბერნი, სავრომატნი, ტავრნი და სკვითნი, განვლე ყველა თემები და ქალაქები, რომელნიც ჩრდილოეთით და სამხრეთით ჰსაზღვრავენ ევქსინის პონტს[2].»

ჩვენი მატიანეც თითქმის ამის თანახმად გადმოგვცემს ანდრიას ქადაგებას ჩვენ მხარეში. თუ რომ დასაჯერებელია ქართლის-ცხოვრების სიტყვა, პირველი ცნობა ახალის სჯულის დასაწყისზე, ესე იგი ქრისტეს შობა ბეთლემში, მოგვთაგან იმისთვის ძღვნის მირთმევა, იმისი ქადაგება და იმისი ჯვარზე სიკვდილი შემოტანილია ჩვენ ქვეყანაში ურიათაგან, რომელნიც აქ ცხოვრობდნენ და რომელთაც შეუწყვეტელი დამოკიდებულობა ჰქონდათ თავიანთ ძველ მამულთან. იმის თქმით, ურიები დასახლებულან საქართველოში შემდეგ ნაბუქოდონოსორისა, რომელმაც მეხუთე საუკუნის დამდეგს ქრისტეს შობამდე «წარმოსტყვევნა იერუსალიმი და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს, მოითხოვეს მცხეთელ მამასახლისისაგან ქვეყანა სარკით. ხოლო მცხეთელმან მამა-სახლისმან მისცა და დასხნა არაგვსა ზედა წყაროსა რომელსა ჰქვიან ზანავი და რომელი ქვეყანა აქვნდა მათ ხარკითა. აწ ჰქვიან ხერკე ხარკისა მისთვის[3].» ურიები ცხოვრობდნენ აგრეთვე ურბნისში და მცხეთაში[4]. ქართლის-ცხოვრება იტყვის, ვითომც ქრისტეს ამაღლების შემდეგ საქართველოს მოქცევა წილად ჰხდა ღვთის-მშობელს და ღვთის-მშობელმა ეს მოღვაწეობა მიანდო პირველ—წოდებულს ანდრია მოციქულს, რომელსაც თან გაატანა თავისი ხატი, «აწ წოდებული აწყურის ღვთისმშობლად და ყოველთა მიერ სახილველი[1].» საქართველოს წილად-ხდომა ღვთისმშობლისადმი ჩვენ ტომში ძველადვე გავრცელებული. ამ აზრს ჰმოწმობენ მრავალი იმის სახელზე აღმართული აქ ეკკლესია, გუჯრები, ქართული ისტორიული და სამღთო წერილები[2]. ანდრიას მოგზაურობა მოხდა ადერკი მეფის დროს. ის მოვიდა ჯერ «ტრაპიზონად, რომელ არს სოფელი მეგრელთა.» აქედამ შემოვიდა «ქვეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდაჭარა ეწოდების და იწყო ქადაგება სახარებისა; გარდავლო მთა, «რკინის-ჯვარად სახელდებული; შთავლო ოძრხის ხევი, მოვიდა სამცხის საზღვარზე სოფელს ზადენ-გორას; წარემართა და მოიწია აწყვერს, რომელსა პირველად ეწოდებოდა ხაზანგეთი და პირის-პირ საქრისი. აქ ამ დროს მთავრობდა ღედა-კაცი ვინმე ქვრივი სამძივარი; თუმცა ანდრიამ «მრავალნი ჭირნი და განსაცდელნი დაითმინნა ურწმუნოთაგან,» მაგრამ იმის ქადაგებას მაინც წარმატება შეუდგა. იმან დაამხო კერპნი, მოაქცია სამძივარი იმისი შვილით და სახლით, «დაერწმუნა ყოველთა უფალი იესო ქრისტე და ნათელს-იღეს ყოველთა». ანდრიამ «ასწავა წესი სჯულისა და სარწმუნოებისა, დაუდგინა ეპისკოპოზი, მღვდელნი და დიაკონნი, აღუმართნა ჯვარნი, აღუშენა ეკკლესიანი, დასტოვა აწყვერში ხატი ღვთის-მშობლისა და შემდგომად ამისა არტაჰან—კოლით და კლარჯეთით განვლო სომხითი და აღვიდა იერუსალიმს აღსრულებად პასქისა.»

«ესმა რა მეფესა ადერკის ქართველთა და მეგრელთა[3] სჯულის დატევება განუწყრა და წარავლინა ერისთავნი მისნი, ძალად იძულებით მიაქციენა ქართველნი და მეგრელნი, და დამალნეს ხატნი და ჯვარნი, და შერისხნა ადერკი ერისთავსა კლარჯეთისასა, რომელ მშვიდობით განუტევა ანდრია.» ანდრია მეორედ თურმე კიდევ შემოვიდა ჩვენში. იმას მოჰყვნენ სხვანიცა მოციქულნი მატათა და სვიმონ კანანელი. იმათ «განვლეს ტაოს კერძი ქვეყანა ვიდრე მდინარედ ჭოროხამდე, ყოველი იგი სოფლები მის კერძისა მოვლეს და დაუცადებელად ქადაგებდეს და ესრედ ქადაგებითა..... შევიდეს ქვეყანასა აფხა-

---

[1] ეფიოპიად სახელ-სდებდნენ ძველად კოლხიდას. Руков. къ позн. Кавк. I, 60 Макарія Исторія христ. 118.

[2] Руководство 59—61. Макарія Исторія... 17, 116, 117.

[3] ქართ.-ცხ. გვ. 25. ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 284.

[4] ქართ.-ცხ. გვ. 38—40, 73.

[1] იქვე, გვ. 41.

[2] Hist. de la Géor. I, p. 55 n. 3.

[3] აქ მეგრელებად იგულისხმებიან ჭანები.

ზეთისასა და მივიდეს სევასტე ქალაქად, რომელსა აწ ეწოდების ცხუმი, და უქადაგეს სიტყვა ღვთისა და მრავალთა შეიწყნარეს და მუნ დაუტევა ნეტარმან ანდრია სვიმონ კანანელი, სხვათა თანა მოწაფეთა და თავად ჯიხეთისა ქვეყანად აღვიდა. ხოლო კაცნი მის ქვეყნისანი ჯიქნი იყვნეს ფიცხელნი გულითა და საქმეთა შინა ბოროტთა განზრდილნი, ურწმუნონი და უძლებნი, რომელთა არა შეიწყნარეს ქადაგება მოციქულისა, არამედ ენება მოკლვა მისი..... და იხილა რა მიუდრეკელობა მათი და პირუტყვებრივი გონება, დაუტევა და წარვიდა, ამისთვისცა ვიდრე აქამომდე ურწმუნოებასა შინა არიან. ხოლო სვიმონ კანანელისა საფლავი არს ნიკოფს ქალაქსა, შორის აფხაზეთისა და ჯიქეთისა. რამეთუ მუნ აღესრულა წმინდა სვიმონ კანანელი.» როგორც სჩანს, ანდრიამ განამტკიცნა მეგრელნი და აფხაზნი»; «მოაქცივნა ქვეყანა სვანეთისა, სადაცა მთავრობდა დღეთა მათ დედა-კაცი ვინმე მთავარი და მატათა სხვათა მათ თანა მოწაფეთა დაშთა მათ კერძოთა.» შემდეგ ამისა ანდრია გავიდა «ქვეყანასა ოსეთისასა და მიიწია ქალაქად, რომელსა ეწოდება ფოსტაფორი და ბოსფორი...... და წარვიდა სკვითედ» [1].

თქმულება ანდრიას ქადაგებაზე საქართველოს დასავლეთად ჩვენში გავრცელებული ყოფილა. ქართლის-ცხოვრების გარდა ამ შემთხვევას იხსენებენ, მაგალითად 1480 წლის გუჯარი, რომელიც აგვიწერს იოაკიმეს ქათალიკოზად კურთხევას. თითქმის ის აზრიც კი იყო საქართველოში, ვითომ ანდრია წვალებულა და დასაფლავებულა ბიჭვინტაში. «ჩვენ ვუწყით, ამბობს ერთი გუჯარი 1731 წლისა, რომ წმინდა ანდრია იწამა კაცის-მჭამელ ქვეყანაში, რომელსაც ეწოდება ანუხაზეთი (აფხაზეთი) და დაიფლა ბიჭვინტას». მეთერთმეტე საუკ., როდესაც გიორგი მთაწმინდელი ანტიოქიაში ჩვენის სარწმუნოების მართლმადიდებლობას უმტკიცებდა პატრიარქს, იმან ამ საგანზე ის საბუთი წარუდგინა, რომ «საქართველოს ეკლესია დაფუძნებულია ანდრია პირველ-წოდებულისაგან და სვიმონ კანანელისაგან, და სვიმონი ნიკოფსიასვე არისო დამარხული». სვიმონ კანანელის საფლავს უჩვენებენ ნიკოფსიაში თვით უცხო-ტომნი მწერალნი—ევსევი და ფაბრიცი [2]. როდის ან ვისგან არის შედგენილი ანდრიას ქადაგების ისტორია, არ ვიცით. ჩვენ ცნობამდე მოუღწევია მხოლოდ ანდრიას ქადაგების აღწერას, რომელიც შედგენია მეხუთე საუკუნეში ქართველს ვისმეს «ღვთის კაცს, ფრიად მეცნიერს» ნიკიტას. შესაძლებელია, რომ თვით ამ ნიკიტასაგან გარდამოცემული ცნობა იყოს ჩართული ქართლის-ცხოვრებაში [1]. ერთის სიტყვით, უეჭველი უნდა იყოს არა თუ მხოლოდ ანდრია მოციქულის ქადაგება, არამედ თვით იმისგან მოქცევა საქართველოს დასავლეთისა. მრავალ-გვარი შემთხვევა ამხნევებდა და ამტკიცებდა ახალ-დანერგილს ქრისტიანობას. ჩვენ ვიცით, რომ იმ ქრისტიანეთაგანნი, რომელთ ზედაც პირველისავე დროდამ განსაცვიფრებელი დევნულობა ასტეხეს რომის იმპერატორებმა, მრავალნი იკრიფებოდნენ ჩვენის პონტის მხარეებში, როგორც უშიშარ ადგილებში. ჩვენ ვიცით, რომ აღმოსავლეთი კიდეები შავის ზღვისა იყო ვიზანტიის სასახლისათვის ექსორია—ადგილად, სადაც სამიშნი მაღლად დადგენილნი ქრისტიანენი იგზავნებოდნენ, რომ თვით იოანე ოქროპირი განდევნილ იქმნა ფითიუნს ანუ ბიჭვინტას, «მიკარდნილს მხარეს, ზღვის პირად, ბარბაროსების საზღვრად» [2]. რომის ეპისკოპოსი კლიმენტი ექსორია იქმნა 100 წ. ქრისტეს შემდეგ ხერსონესში და აქედამ მოქმედებდა ივერიელებზე და კოლხიდელებზე, რომელნიც «მრავალს ადგილს აღიარებდნენ სახარების სწავლას». ამ შემთხვევათა გავლენა დიდ ნაყოფიერი გავლენა იყო. მოციქულების დროდამვე ჩვენის ქვეყნის საზღვრად ჰყვანდნენ ეპისკოპოსნი, მაგალითად ანდრიას მოწაფე ფილოლოგი, სინოპის ეპისკოპოსი, უმეტესი ტრაპიზონის ეპისკოპოზი ფოტი, აქვე დიოკლიტიანეს მეფობაში მელეტი, და სხვ.; კოლხიდის მენი პონტის ეპისკოპოსი პოლმი და იმისი შვილი მწვალებელი მარკიონი. ზოგნი იმათგანნი იხსენებიან თვით იმათ რიცხვში, რომელთაც მსოფლიო კრებებში მიუღიათ მონაწილეობა, ესე იგი ნიკეაში და სხვა ქალაქების ყრილობაში; ბიჭვინტის და ნიკოფსიის ეპისკოპოსნი იპატი, სტრატოფილი, ეპაციანი და სხვ. [3]. ეს ფაქტები საკმაოდ ჰმოწმობენ, რომ ჩვენ საზღვრად ქრისტიანობა ჰყვაოდა მეოთხე საუკუნის წინათვე, რომ თუ ასე არ ყოფილიყო თვით დანაშთენ საქართველოში ადვილად ვერ გაავრცელებდა და ვერ დაამყარებდა ქრისტეს სახარებას წმინდა ნინო.

---

[1] ქართლის-ცხოვრება გვ. 42—47

[2] Voyage archèol, VII, 140. Руководство къ позн. Кавказа, I, 63—65. Hist. de la Géor. I, 60 n. 5.

[1] Hist. de la Géor. I, 60 n. 5.

[2] Lebeau, Hist. du Bas—Emp, VII, 90 et note. Руководство къ позн. Кавказа. I, 57, 69, 104.

[3] Исторія груз. церкви, стр. 7—8. Руководство къ познанію Кавкказа, I, 77, 78, 103. Hist. de la Géor. I, 90 n. 1.

ურწმუნო დიეგო

ერთი ხანა კარლისტების აჯანყებისა.

(შემდეგი *)

III.

პატრ მალალიასს, თვითონ ეპისკოპოსს და მთელს სამღვდელოებას რომ მოენდომებინათ ადელინა შეეშინებინათ ჯოჯოხეთში დაიტანჯების დიეგო სიყვარულისათვისაო, ეს იმათ არ დაუჯერებდა და თავის დიეგოს არ უღალატებდა. მაგრამ პატრები სულ სხვა ნაირად მოიქცნენ: ღვთის მოყვარე და წმინდა მამა მალალიას ყოვლის ღონისძიებით ცდილობდა დაერწმუნებინა ადელინა, რომ მარტო ეს კი არ იქნებოდა საუკუნოთ შეჩვენებული, არამედ ამასთან ერთად დიეგოც უფრო მეტს სატანჯველს მიეცემოდა. ზეცა თავის დღეში არ გაახედნიერებს ქრისტიანს და ურწმუნოს ერთად ქორწინებასაო, ეუბნებოდა მალალიასი, თქვენის ქორწინების შედეგი ის იქნებაო, რომ დიეგოს მოგიძულებსო, შენ ამას ვერ აიტანო და ჯავრით მოჰკვდებიო, და დიეგო ამის შემდეგ უფრო მომატებულათ მიჰყოფს ხელს ღვთის გამარისხებელს ცხოვრებასაო და იქამდინ მიაღწევსო, რომ ეშმაკი მთლად დაისაკუთრებს თავის ნამდვილ სხვერპლსაო. სულ ყოველთვის ამ გვარათ უქადაგებდა ადელინას კეთილი პატრი ყოველგან: ეკლესიაში აღსარების დროს, გინდათ თუ თავის დედის სასტუმროში, ქუჩაში და სხვაგან, სადაც კი ადელინა ომს შეხვდებოდა.

საწყალი ქალი დარწმუნდა, რომ ან დიეგო უნდა დაეყენებინა სწორე სარწმუნოების და პოლიტიკის გზაზედ და ან არა და თვითონ უნდა აეღო ხელი დიეგოზედ იმისავე ბედნიერებისათვის.

მ.გრამ საშინლათ კი იბრძოდა ამ გადაწყვეტილებასთან. ყოველ დღე თავისის გოგოთი ეს დაიარებოდა საყდარში, ანთებდა წმინდა სანთლებს; წმინდა ლობლანის წინ და ცხარის ცრემლით ლოცულობდა. მაგრამ მამა მალალიასმა ეს ნუგეშიც არ შეარჩინა. ერთხელ, როდესაც ადელინა მუხლ-მოდრეკილი იდგა და ცხარის ცრემლით ლოცულობდა, მალალიასმა უთხრა: ტყუილათ ჰსტირი, ღმერთი თავის დღეში ურწმუნოს მოწყალის თვალით არ გადმოხედავს; ღვთის გული მარტო იმით არ მოიპოვება, რომ კერპი ქალი მთელი დღე მუხლ-მოდრეკილი იდგეს და ორ ტოტათ ცრემლებს ღვრიდესო.

საწყალი ადელინა გულ-დაწყვეტილი წავიდა შინ; გზაზედ დიეგო შეხვდა. სწორეთ ერთი კვირა გასდამას აქეთ, რაც სენიორა ფიეროს სასტუმროში ის საზარელი ლაპარაკი მოხდა, და მას აქეთ ადელინას არ ენახა თავის საყვარელი. დიეგო საჭიროთ სადღა არ ენახა თავის ადელინა, მანამ სუყველა ამ არეულობას ბოლო არ მოეღებოდა. დიდი ხნის უნახავობის გამო ადელინას დიეგო უფრო მკირფასად და მშვენივრად ეჩვენა, თუმცა დიეგოს სახეზედ ისეთი დაღონება ეწერა, თითქო დიდი უბედურება მისდგომია რამეო.

დიეგო შედგა, როცა ადელინა დაინახა. ხნიერი მოახლე, როგორც შეეფერება კარგს დახელოვნებულს გამდელს, მივიდა მაგაზინის ფანჯრებთან და დიდის გულმოდგინებით შინჯვა დაუწყო, იქ გამოფენილ მარაოებს, ვითომ აქ არაფერი ამბავიაო. ერთის სიტყვით თვალი მოარიდა. ადელინა ჰსწვდა დიეგოს ხელში ისე მხურვალეთ, როგორც კი მარტო მოსიყვარულე დედაკაცს შეუძლიან, და გაბედვით, ხალხის მოურიდებლივ, ყოველის რიგიანობის დაურღვეველად შეითრია ერთ ახლო მდგომ სასახლის კარებში.

— დიეგო, დიეგო! მე აღარ შემიძლიან ამის ატანა, დაიყვირა იმან და ქვითინით მოეხვია ყელზედ: —ქვეყანაზე არავინ დატანჯულა ამ გვარათ, როგორც მე ვიტანჯები. შენ იცი რომ მე სუყველას მოვიქმედებ, რაც კი შენ გსურს. თითქმის სიცოცხლესაც არ დავზოგავ შენთვის! შენ კი, როგორ დავიჯერო, არ შეგეძლოს ჩემის გულისათვის დაჰსთმო მხოლოდ შენი აზრები? ჩვენ რა გვენაღლება, თუ ვინ იხემწიფებს ამედეო თუ კარლოსი, ან თუ რა დაემართება ისპანიას? ჩემთვის მთელი ქვეყანა შენა ხარ, და, ვგონებ, შენთვისაც მე უნდა ვიყვე უფრო მეტად ღირსებული ვიდრე ამედეო და ლიბერალები! ოჰ, საყვარელო დიეგო! მე ვგრძნობ, რომ ჩვენ დიდი უბედურება მოგველის, თუ შენ დარჩები მტრად ეკლესიისა და პატრებისა! მე ახლა ვლოცულობდი ღვთის მშობლის წინ და ღვთის-მშობელმა ისეთის სიბრალულით გადმომხედა, თითქო მიბძანებდა, ვაი შენი ბრალიო, არ იცი რა უბედურობა მოგელისო. ო, რა საშინელებაა! როდესაც მე შევევედრე: ყოვლად მოწყალეო ღვთის-მშობელო, თუ ჩვენში უნდა იტანჯოს ვინმე მეთქი, ისევ მე

*) «ივერია» №№ 25, 26. 1878 წ.

მტანჯე და არა დიეგო, მეთქი, მაგრამ გთხოვ დაგვიფარე ორნივ შენს მადიდებლათ;»—ღვთის-მშობელმა მოამხედა, მაგრამ შემოხედვა მისი იყო ცივი, გამეინავი.

—ჩემო საყვარელო, ძვირფასო ბავშვო, წარმოსთქვა ღიმილით დიეგომ, მიიკრა გულზე და კოცნა დაუწყო:—იმ ხალხს შენ შეუშინებისათ, შენ ნუ ადარებ პატრებს ღმერთთან და ღმერთს პატრებთან. განა შენ გგონია, რომ ღმერთიც ისე ჭსჯის, როგორც მამა ძალიანსი, რომელიც იმ სახსოვარ საღამოს, სწყეულიდა მთელ ცხრა შეათედს კაცობრიობას, მხოლოთ იმისათვის, რომ ისინი არ ეფასებენ პატრების აზრებს? შენ იცი, რომ ჩემი სიცოცხლე, ყოველი ჩემი აზრი და იმედი შენში იმყოფება; მაგრამ შენ ნუ მოხოვ, რომ მე თაყვანი ვცე შენს ცრუ მორწმუნე პატრებს, რომელნიც ჩვენს დადუპვას ცდილობენ: მე ვებრძი იმათ, ჩემო სიხარულო, და ამ ბრძოლაშია ჩემთვის საჭირო შენი შემწეობა. ისინი სცდილობენ ჩემს გაღარიბებას. დღეს დილით, ერთმა ქარხნის პატრონმა, რომელმაც ამას წინათ მე ერთი მაშინის გაკეთება შემოიგვეთა, უარი ჭსთქვა, მარტო იმის მიზეზით, რომ მღვდლები ნებას არ მაძლევენო და მე სრულიად იმაზედ ვარ დამოკიდებული. მე, ჩემო კარგო, ის ბატონები ყოველგან მლანძღვენ და ქალაქში არ არის ერთი სახლი, სადაც ისინი მე ჩირქს არ მაცხობდნენ. ნეტა რადა ვქნა, რომ ამ გაჭირებაში შენც თავი დამანებო, ჩემო საყვარელო?

ამ სიტყვებმა მცირედათც არ დაამშვიდეს ადელინა; არა, ამათ უფრო მოუხშირეს ადელინას ცრემლები და ტანჯვა; გაცხარებული ადელინა დიეგოს ორივეს ხელით მოეხვია ყელზედ, მაგრა მიეკრა და შეეკედრა:

— დიეგო! ჩემო საყვარელო დიეგო..... ჩემო სიცოცხლეგ..... გთხოვ, გეხვეწები..... ნუ მელაპარაკები მაგ ეებზე.... რადესაც შენ ლაპარაკობ, მე მეკარ, ჩემ თავს ღონიერად ვხედ, მაგრამ, უშენოთ, მე ისევ ისე ღონე მიმესდება და შიში წამიღებს ხოლმე. გთხოვ, გეხვეწები.... ისე მოიქეცი, როგორც მე მინდა.

დიეგომ პასუხი ვეღარ მოასწრო, ადელინას აერია თვალები, პირზე მკვდრის ფერი დაედო და გულ შემოეყარა. ძლივს მოაბრუნა დიეგომ სუფალი ქალი, მოახლის შემწეობით მიიტანა სახლამდინ და თვითონ ქარხანაში დაბრუნდა. ეპასუხაო თქვენმა და გრძნობამ სუფალი უმაწვილი კაცი არაა. ჯერ უნდოდა წასულიყო ეპისკოპოსთან და მადლიანსთან და ეთქვა, რომ ძალღებიანი ამოგწუვეტო, თუ კიდევ შემიშინებთ ადელინასაო, მაგრამ მერე მიხვდა ამ აზრის უსაფუძვლობას. მაშინ გულზედ სევდა მოაწვა და ჭკითხავდა თავის-თავს, ნეტა რისთვის ვიბრძვიო? რა მჯისო? ის არ ემჯობინებოდა გამერეკნა ურწმუნო მუშებიო და ბედზე მიმეგდო ქარხნის საქმეო, შეერიგებოდი სამღვდელოებას, მიმეცა ფულები პატრებისთვის, უარი მეთქო ჩემი საკუთარი აზრებიო და მშვიდობიანათ მეცხოვრნა ადელინასთან და მქონოდა მხოლოთ ერთი საგანი ცხოვრებისა ადელინას ბედნიერებაო? სუფალი, ვინც კი შეჭმია „მძღავრთა ამა ქვეყნისათა“, ჩავარდნილა ჩემებრ სასოწარკვეთილებაშიო.

დიეგო რომ შემცდარიყო და ელადატნა თავისთავისათვის კეგ საკვირველი არ იქნებოდა, ამიტომ რომ, სწორეთ რომ ვსთქვათ, იგი არ იბრძოდა არავითარ უმაღლესის საგნისათვის; თავისის აზრების გამარჯვებით ის არ მოელოდა გამდიდრებას, რადგანაც უამისოთაც ძრიელ მდიდარი იყო. და დამარცხება კი სრულებით გაადარიბებდა. დაკარგვინებდა ადელინას, გადაეუპვდა სამშობლო ქალაქიდგან და, ვინ იცის, იქნება სხვა მოულოდნელს უბედურებასაც შეამთხვევდა. მაგრამ დიეგო მაინც მაგრა იდგა თავის აზრზედ, თუმცა იმის ალაგას მრავალი სხვა მოიდრეკდა თავს მუსთაფის ბედის წინაშე. როდესაც ის ქარხანაში მოვიდა, ნახა, რომ ყველა ისპანიელი მუშები ეზოში გამწკრიებულიყვნენ. ამათ გამოუცხადეს, რომ, თუ არ გარეკავო უცხო ქვეყნელ მუშებს, ჩვენ შენი არ გვინდა რაო, თავს დაგანებებთო.

ეს თხოვნა სასუფლე იყო. დიეგომ დიდის ჯაფით ასწავლა ამათ ხელოსნობა და დიდ ჯამაგირებსაც აძლევდა მხოლოთ იმისათვის, რომ მარტო სხვა მხრის მუშები არა ჭყოლოდა. იმას შეეძლო საქმე თავისი გაეკეთებინა მარტო სიფრანგეთისა და ინგლისის მუშებითა და უამათოთ კი, ესე იგი მარტო ისპანიელებით არას ეზიით არ შეიძლებოდა, ამ მუშების წინამძღოლს ძრიელ ნათლათ ესმოდა ამ თხოვნის უჭკუობა და ცოლვე გადაეყენა, წაიყვანა დიეგო და წმინდის გულით სუფალოფერში გაუტუდა. ამ ტოტა ხანში კარლისტების აჯანყება აუცილებლად მოხდებაო, უთხრა მუშების წინამძღოლმა: და თუ ისინი გაიმარჯვებენო, რომელიც ძრიელ შესაძლებაო, თუ გინდ რამდენიმე დღით მაინცაო, მაშინ უთუოდ, პატრები დაუცემიან თქვენ ქარხანასაო, ცეცხლს

წუკიდებენ და ეცხო მუშების სუფეველს ყელებს დასჭრანო; ამისათვის ძრიელ კარგს იზამთო, რომ აჯანყების დამშვიდებამდინ, სხვა მხრის მუშები დაითხოვოთო. რასკვირველია, მუშებისთვის ძრიელ სამწუხაროა, ამბობდა წინამძღომელი, რომ ამ გვარათ ეურობიან ქარხანას, რომელიც ამათთვის ოფელთვის აგრე სელის-შემწეობი იყოო, მაგრამ რა ქმნან, კარლისტები და პატრები ძრიელ საშიშარნი მტერნი არიანო.

— მე ვფიქრობდი, მიგუელ, რომ სუფოველთვის შემეძლო თქვენზე მონდობა, უპასუხა დამშვიდებით დიეგომ.

— თუ მე დამჭირდება ჩემის ცხოვრების დაცვა ავაზაკებისაგან, რასკვირველია, ჩემთვის სასიამოვნო იქნებოდა, რომ გვერდით რამდენიმე ისპანიელი მყოლოდა.

— მე მყავს ცოლშვილი, დონ დიეგო, უპასუხა მიგუელმა, და ბევრი სხვანიც ჩემს ოფოვაში არიან:

— ჩვენ იქნება დავრჩენილვიყავით თქვენთან, რომ თქვენ ინგლისელნი ან პროტესტანტი ყოფილიყავით: მაშინ თქვენ ვერავინ შეგიხებოდათ, მაგრამ ლიბერალი კათოლიკე—სუფოველთაგან მტრად არის მიჩნეული და პატრებს ეშმაკზე ძრიელ ეჯავრებათ.

— მაშ მეტი ღონე არ არის: რაც მოსასვლელია უნდა მოვიდეს, კაცი ამას ვერ ასცდება, ჭსთქვამ დიეგომ და წავიდა კანტორაში, რომ ისპანიელ მუშებს გაუსწორდეს.

იმას ჯერ არც კი გაეთავებინა ეს საქმე, როდესაც კანტორაში შემოვარდა ერთი უმწეოდი კაცი. ეს იყო დიეგოს საუკეთესო მეგობარი. ეს ერთი იმათგანი იყო, რომელნიც არასოდეს არა გაჭირვებაში მეგობარს არ უღალატებენ, და რომელთაც, ამ სიპატიოსნესთან საუბედურო უველაფერისა ეშინიათ და უველაფერი აოცებთ

— დიეგო, შენ დიდი უბედურება მოგელის, ჩუმათ წამოსთქვა იმან და ნელა კერები ჩაგეტა. მთელი ქალაქი ლ პარაგობს: კარლისტები დღეს არა, ხვალ აჯანყდებიან.—იქნება ხვალ, ვინ იცის ამაღამაც შემოერტყან ქალაქს, და ხომ იცი, შენ პირველს დაგეცემიან. პატრებმა უველა კაცი შესზე გაატეცხლეს და აამღვრიეს. თავი დაანებე სუფველას შეურიდგი პატრებს და როდესაც არეულობა მოხდეს, შენც კარლისტობა დაიჩქვი.

დიეგომ ამ რჩევაზე მარტო გაიცინა და თავის მეგობარს პაპიროსი უთავაზა.

— ღმერთს და წმინდა დობლანოს გეფიცები, მე არ ვხუმრობ! დაიწყო კვლავ დიეგოს ბეგობარმა, მხარზედ ხელი წაავლო და თვალი თვალში გაუყარა შეშინებულმა: შენ დალუპული კაცი ხარ, შენ ერთის ფეხით სოფლაკში სდგეხარ! მუშებს შენ ეჯავრები, პატრები შენ გწუველიან და მუნიციპალიტეტის წევრნი, რომელნიც, უეჭველია, იდუმლად კარლისტების მხარეს დაიჭერენ, სიხარულით ერთ კვირას მომეტებულს იმარხულებენ, რომ შენ სასრხობელაზედ გნახონ და თუ შენ იმოდენაო კერში ხარ, და იმოდენა ძალასთან თავს არ მოიდრეკ, გაიქეცი აქედან მაინც და ან დაიხსენ შენი თავი, წადი პირველის რეინის გზით მადრიდში. ეხლავ ადეგ და წადი, ერთის წამსაც ნუ დაჰკარგავ. სად არის შენი მეთოფაში?

— შენ ვინ გითხრა, რომ ისინი აქ მოვლენ? დამშვიდებით ჭკითხა დიეგომ.

— ვინ გითხრა ისინი აქ არიან კადეც; ისინი ოფელგან არიან, ვინ იცის, იქნება თითონ შენ სახლშიაც კი იყვნენ და მხოლოდ ნიშანს რასმეს ელიან, რომ აღზდგნენ. სუფველა საქმე გაჩერებულია ქალაქში. არავინ არას უიდუღობს, არავინ არ იცის, თუ ხვალ რა იქნება, თუ გიყი არა ხარ, აბა ნუღარ დაპარაკობ, დაიხურე ქუდი და წავიდეთ.

—არა, სთქვა დიეგომ, გადაგდო პაპიროსი და გულზე ამაყად ხელები დაიკრიბა:—არა, მე არ გავიქცევი და არც ჩემ სიტყვებზედ უარს ვიტყვი, ანტონიო! მაშ რისთვისა გავქვს ხელები, თუ არ მტრებთან შებმისათვის. მე აქ ვრჩები, რაც უნდა უბედურობა მოხდეს.

— შენ სწორედ ჭკუიდან შეშლილი ხარ! შეჰკივლა გაჯავრებულმა ანტონიომ:—ისინი რომ სხვა მხრის მტრები ყოფილიყვნენ, მაშინ მიგიხვდებოდი მაგ სიტყვებს. ჩვენს პატრებთან კი აბა რა შეგიძლიან? მე შენ ვკითხავ, აბა რა შეგიძლიან?

გაბაშვილი.

(შემდეგი იქმნება.)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 Іюля 1873 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.